

გენერალური პროკურატურის საპროკურორო საქმიანობაზე
ზედამხედველობისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის
ანალიტიკური სამმართველო



განრიდებულ არასრულწლოვანთა ზოგადი მახასიათებლების კვლევა

*კრიმინოლოგიური კვლევა განხორციელდა 2019 წელს განრიდებულ
პირთა ინდივიდუალური შეფასებების საფუძველზე*



სარჩევი

1. შესავალი	2
1.1. კრიმინოლოგიური კვლევის მნიშვნელობა და მიზანი.....	2
1.2. კვლევის ზოგადი მიმართულებები, კვლევის მეთოდები, საანგარიშო პერიოდი და ინფორმაციის წყარო.....	3
1.3. კვლევის შედეგები.....	4
2. კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა გეოგრაფიული გადანაწილება, მოქალაქეობა და სქესი.....	5
2.1. კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა გეოგრაფიული გადანაწილება	5
2.2. კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა კოეფიციენტი 1000 მოსახლეზე.....	5
3. არასრულწლოვნებში გავრცელებული დანაშაულები	7
4. კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა დემოგრაფიული მონაცემები.....	9
4.1. კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა მოქალაქეობა და სქესი.....	9
4.2. კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა ასაკობრივი მაჩვენებელი	9
5. კანონთან კონფლიქტში მყოფ პირთა ოჯახი	12
5.1. კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა ოჯახური გარემო.....	12
5.2. არასრულწლოვანთა ოჯახის წევრების დანაშაულებრივი გამოცდილება და დამოკიდებულება არასრულწლოვნის მიერ ჩადენილი დანაშაულისადმი.....	15
6. არასრულწლოვანთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა	17
6.1. ოჯახის შემოსავალი.....	17
6.2. არასრულწლოვანთა საცხოვრებელი გარემო.....	18
7. კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვნების განათლება და სამუშაო გამოცდილება..	20
7.1. კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა განათლება.....	20
7.2. კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა სამუშაო გამოცდილება.....	22
8. კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა მახასიათებლები	24
8.1. კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა ჯანმრთელობის მდგომარეობა	24
8.2. არასრულწლოვანთა ძალადობრივი ქმედების გამოცდილება	26
8.3. კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა დამოკიდებულება მავნე ჩვევებზე.....	28
8.4. კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა დამოკიდებულება თანატოლებთან და საზოგადოებასთან.....	29
8.5. კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა მიერ დანაშაულის გაცნობიერება.....	29
9. დასკვნა	31
(კვლევის ძირითადი მიგნებები).....	31

1. შესავალი

1.1. კრიმინოლოგიური კვლევის მნიშვნელობა და მიზანი

კრიმინოლოგია - დანაშაულებრიობის, დანაშაულისმიზეზის, დანაშაულისპიროვნების, დანაშაულისთავიდანაცილებისმეთოდებისდასაშუალებების, მისი ლიკვიდაციის პერსპექტივების შემსწავლელი იურიდიული ეცნიერებისდარგია.¹ უფრო ნკრეტულად - კრიმინოლოგია ეს რის ხვადასხვა ოციოლოგიურ ფაქტორებზე დაფუძნებული კვლევა, რომელიც ავლენს დანაშაულის ჩადენის ანმაპირობებელ გარემოებებს. კრიმინოლოგიური კვლევის შედეგები ყოველთვის დიდ როლს თამაშობდა დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტურ დაგეგმვასა და განხორციელებაში. როდესაც ცნობილია დანაშაულის გამომწვევი ძირითადი იზეზები, ბუნებრივია იოლდება მასთან ბრძოლის მექანიზმებიც. იურისპრუდენციისა და მომიჯნავე მეცნიერების დარგის წარმომადგენლები ერთხმად თანხმდებიან, რომ სამართლებრივი სახელმწიფოს იდეალურ ტიპთან მიახლოებისთვის, სხვა მრავალი პრობლემის გადაწყვეტასთა ერთად, აუცილებელია დანაშაულობის დონის შემცირებაზე ზრუნვა. კრიმინოლოგიური კვლევის შედეგებს აქვთ ძალიან დიდი მნიშვნელობა სისხლის სამართლის პოლიტიკის სწორი დაგეგმვისთვის, მით უფრო იმ სისტემებში, სადაც პროკურორს სისხლისსამართლებრივი დევნის დისკრეციული უფლებამოსილება აქვს მინიჭებული.

გვ. | 2

აღნიშნული განსაკუთრებით აქტუალური არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროშია. სისხლის სამართლის სფეროში მოხვედრილ არასრულწლოვანთა მიმართ სწორი მიდგომების განსაზღვრა დიდწილად არის დამოკიდებული არასრულწლოვანთა დანაშაულის გამომწვევი მიზეზების ცოდნაზე.

არასრულწლოვანთა დანაშაულზე საუბრისას საჭიროა მათი როგორც ემოციური მდგომარეობის, ასევე სხვა გარე ფაქტორების ანალიზიც. საქართველოს გენერალური პროკურატურის საპროკურორო საქმიანობაზე ზედამხედველობისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის მიერ წელიწადში ერთხელ, სისტემატურად მუშავდება განრიდებულ არასრულწლოვანთა ინდივიდუალური შეფასების ანგარიშები. ინდივიდუალური შეფასებები გვაწვდის მნიშვნელოვან ინფორმაციას არასრულწლოვანთა შესახებ - კერძოდ, მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის, განვითარების დონის, ეკონომიკური და ოჯახური გარემოს, სწავლის, მავნე ჩვევებზე დამოკიდებულების, თანატოლებთან ურთიერთობისა და სხვა გარემოებების შესახებ. ყველა ზემოაღნიშნული ფაქტორი არასრულწლოვნის ქცევისგანმაპირობებელ გარემოებას შეიძლება წარმოადგენდეს. განრიდებულ არასრულწლოვანთა შესახებ ამ ფაქტორთა იდენტიფიცირება და კრიმინოლოგიური ანალიზის განხორციელება საკმაოდ მნიშვნელოვანია. როდესაც ვიცით კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა მიმართ როგორია მათი ქცევის შესაძლო განმაპირობებელი გარემოებები - სამართალდამცავ ორგანოებს ერთის მხრივ, შეუძლიათ ამ ფაქტორთა გათვალისწინებით დაგეგმონ პრევენციული ღონისძიებები, მეორეს მხრივ, განრიდება-მედიაციის პროგრამის მიზნებისთვის გადაწყვეტილების მიმღებ პირებს მტკიცებულებებზე დაფუძნებით აქვთ შესაძლებლობა შეიმუშაონ სწორი მიდგომები თითოეული განსარიდებლის მიმართ.

¹<http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=19213>

1.2. კვლევის ზოგადი მიმართულებები, კვლევის მეთოდები, საანგარიშო პერიოდი და ინფორმაციის წყარო

არსებობს სხვადასხვა კვლევა იმის შესახებ, თუ რომელი მოვლენა მოზარდის განვითარების რომელ ეტაპზე ახდენს უფრო მნიშვნელოვან გავლენას. მიუხედავად ამისა, დაზუსტებით შეუძლებელია იმის თქმა, თუ რომელი კონკრეტული ფაქტორი ან ფაქტორთა კომბინაცია განაპირობებს არასრულწლოვანთა მიერ დანაშაულის ჩადენას. თუმცა, გამოყოფენ რამდენიმე მნიშვნელოვან ფაქტორს, რომელიც გასათვალისწინებელია კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა შეფასებისას, ესენია - მიკრო დონეზე - ოჯახი, მეზო დონეზე - სკოლა და ზოგადად, გარემო, ხოლო მაკრო დონეზე - საზოგადოება, რომელშიც მოზარდი ცხოვრობს.

ოჯახთან დაკავშირებით რამდენიმე მნიშვნელოვან ფაქტორს გამოყოფენ, რომელიც გავლენას ახდენს დანაშაულებრივ ქცევაზე, ესენია:

- მოზარდის მიმართ ყურადღების ნაკლებობა;
- ძალადობის ფაქტები ოჯახში;
- დისციპლინის ნაკლებობა ან არქონა;
- ემოციური კავშირის ნაკლებობა ოჯახის წევრებს შორის.

ასევე, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მოზარდის ანტისოციალურ და დანაშაულებრივ ქცევაზე სასკოლო გარემო და მისი აკადემიური მოსწრება. როგორც წესი, ის არასრულწლოვნები, ვისაც დაბალი აკადემიური მოსწრება აქვთ და ნაკლებად არიან სხვადასხვა აქტივობით დაკავებული, მეტად გამოირჩევიან კანონსაწინააღმდეგო ქცევით.

ამასთანავე, ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია გარემო, რომელშიც მოზარდი ცხოვრობს და ვითარდება. გარემოში, სადაც გავრცელებულია სიღარიბე და მოსახლეობას არ მიუწვდება ხელი ისეთ საბაზისო სიკეთეებზე, როგორც არის ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობა, სამედიცინო სერვისები და ასე შემდეგ, უფრო მეტად არის დანაშაულებრივი ქცევა გავრცელებული ახალგაზრდებში. ხშირ შემთხვევაში არასრულწლოვანთა დანაშაული არა მათი თავისუფალი ნების, არამედ იმ შეზღუდული შესაძლებლობების შედეგია, რომელიც არსებობს საზოგადოებაში. ამასთანავე, გასათვალისწინებელი ფაქტორია არასრულწლოვნის პიროვნული მახასიათებლები, თუმცა, ნებისმიერი ხასიათის თავისებურება და სხვადასხვა მოვლენისადმი დამოკიდებულება კონკრეტულ სოციალურ გარემოში ყალიბდება და ხშირ შემთხვევაში, სოციალური კონტექსტის შედეგია.²

ქართველი კრიმინოლოგები არასრულწლოვანთა დანაშაულებრივი ქცევის გამომწვევ მიზეზებს ოთხ ძირითად სფეროდ ყოფენ: სწავლა, შრომა, ყოფაქცევა და დასვენება. ამასთან, მიუთითებენ გარდატეხის ასაკთან დაკავშირებულ სირთულეებსა და იმ საზოგადოებაზე, რომელშიც არასრულწლოვანი ვითარდება.³

ზემოაღნიშნულ საკითხთა აქტუალობიდან გამომდინარე განრიდებულ არასრულწლოვანთა მონაცემების დამუშავების საფუძველზე სწორედ ამ მიმართულებით განხორციელდა კვლევა. ანალიზში წარმოდგენილი ინფორმაციის წყაროს სოციალური მუშაკების მიერ მომზადებული ინდივიდუალური შეფასებები წარმოადგენენ. განრიდების საქმეების მონიტორინგის

²Institute of Medicine and National Research Council. 2001. Juvenile Crime, Juvenile Justice. Washington, DC: The National Academies Press. doi: <https://doi.org/10.17226/9747>

³ მორის შალიკაშვილი, გივი მიქანაძე. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება (სახელმძღვანელო). თბილისი, ფრაიბურგი, სტრასბურგი. 2016 წ. 12-19 გვ.

პარალელურად მუშავდება ინდივიდუალური შეფასებები და წელიწადში ორჯერ ხდება შემდეგი სახის ინფორმაციის თავმოყრა:

- ⇒ კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა ასაკი და სქესი;
- ⇒ არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაული გეოგრაფიული ნიშნის მიხედვით;
- ⇒ არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაული სახეების მიხედვით;
- ⇒ კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა მშობლების და დედამამიშვილთა ყოლის ფაქტი;
- ⇒ კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა საცხოვრებელი გარემო და შემოსავალი;
- ⇒ კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა განათლება, სხვა აქტივობა და თავისუფალი დრო;
- ⇒ კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობა;
- ⇒ კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა დამოკიდებულება მავნე ჩვევებისადმი;
- ⇒ კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა ოჯახის წევრების დამოკიდებულება ჩადენილი დანაშაულის მიმართ და ოჯახის წევრთა ნასამართლობა.

მიმდინარე ანალიზში კრიმინოლოგიური კვლევისთვის მონაცემები წარმოდგენილია 2019 წელს განრიდებული 437 არასრულწლოვნის შესახებ დამუშავებული ინფორმაციის საფუძველზე.

1.3. კვლევის შედეგები

განრიდებულ არასრულწლოვანთა ინდივიდუალური შეფასებების საფუძველზე განხორციელებული ანალიზი საშუალებას გვაძლევს გავაკეთოთ ძირითადი მიგნებები არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულის გამომწვევი მიზეზების შესახებ.

კრიმინოლოგიური კვლევის ფარგლებში განისაზღვრა არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულების მაჩვენებელი რეგიონებში მოსახლეობასთან მიმართებით. კვლევა საშუალებას იძლევა გაანალიზდეს კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა დემოგრაფიული მონაცემები, მათი ოჯახური და ეკონომიკური მდგომარეობა; განათლების დონე და სამუშაო გამოცდილება. აღნიშნულ მახასიათებლებთან კორელაციაში კი დადგინდეს რა სახის დანაშაულებს ჩადიან ისინი ძირითადად.


კვლევის შედეგები მნიშვნელოვანია სხვადასხვა მიმართულებით სახელმწიფო სექტორისა და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაზე მომუშავე მულტისექტორული გუნდისთვის, დანაშაულის პრევენციის სწორად დაგეგმვისთვის.

2. კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა გეოგრაფიული გადანაწილება, მოქალაქეობა და სქესი⁴

2.1. კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა გეოგრაფიული გადანაწილება

კრიმინოლოგიური მიზნებისთვის მნიშვნელოვანია გაანალიზდეს არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულის მაჩვენებელი რეგიონულ ჭრილში, რაც სრულად გვაჩვენებს კრიმინოგენურ სიტუაციას ცალკეულ ტერიტორიულ ერთეულში და შესაბამის უწყებებს პრიორიტეტების სწორად განსაზღვრის შესაძლებლობას აძლევს.

2019 წელს განრიდებულ და დევნადაწყვეტულ არასრულწლოვანთა საერთო რაოდენობას (767 არასრულწლოვანი) თუ ავიღებთ და მასთან მიმართებით გავანალიზებთ კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა დემოგრაფიულ მონაცემებს, გეოგრაფიული განფენილობის მიხედვით ასეთ სურათს მივიღებთ:



ზემოთ მოცემული მონაცემების მიხედვით პროცენტულ ჭრილში კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა 40% თბილისზე მოდის. რეგიონებიდან ყველაზე მეტი წილი დასავლეთის რეგიონზე, ხოლო ყველაზე დაბალი - კახეთის რეგიონზე მოდის.


2.2. კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა კოეფიციენტი 1000 მოსახლეზე

კრიმინოლოგიური თვალსაზრისით საინტერესოა დანაშაულის ჩამდენ არასრულწლოვანთა რაოდენობა მცხოვრებთა რაოდენობასთან მიმართებით. აღნიშნული მიზნით განისაზღვრა რეგიონებში კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა კოეფიციენტი შესაბამისი რეგიონის მოსახლეობის საერთო რაოდენობიდან, ყოველ 1000 მოსახლეზე. თუ რაოდენობრივი მაჩვენებლის მიხედვით კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა ყველაზე მაღალი მაჩვენებელი თბილისში, რეგიონებიდან კი დასავლეთში ფიქსირდებოდა, ყოველ 1000

⁴ კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა ზუსტი მაჩვენებლის განსაზღვრის მიზნით გეოგრაფიული გადანაწილება და 1000 მოსახლეზე კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა კოეფიციენტის გამოთვლა ბრალდებულ და განრიდებულ არასრულწლოვანთა საერთო მაჩვენებლიდან მოხდა. ყველა სხვა შემთხვევაში ანალიზში მოცემული სტატისტიკური ინფორმაცია გაანალიზებულია განრიდებულ არასრულწლოვანთა საფუძველზე.



მოსახლეზე კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა ყველაზე მაღალი კოეფიციენტი სამცხე-ჯავახეთის რეგიონში დაფიქსირდა.



როგორც წარმოდგენილი მონაცემებიდან ვხედავთ კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა კოეფიციენტი არ არის მაღალი არც მთელი ქვეყნის მასშტაბით, არც რეგიონულ ჭრილში. ეს მაჩვენებელი 1000 მოსახლეზე 1 მთელსაც არ აღწევს. მიუხედავად იმისა რომ კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა საერთო რაოდენობიდან ყველაზე მეტ არასრულწლოვანს თბილისში ჰქონდა დანაშაული ჩადენილი, 1000 მოსახლეზე კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა ყველაზე მაღალი მაჩვენებელი სამცხე-ჯავახეთის რეგიონშია, შემდეგ მოდის თბილისი და დასავლეთი. ხოლო 1000 მოსახლეზე კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა ყველაზე დაბალი კოეფიციენტი კახეთის რეგიონში ფიქსირდება.


3. არასრულწლოვნებში გავრცელებული დანაშაულები

არასრულწლოვნებში გავრცელებული დანაშაულების შესწავლის მიზნით მოცემულ ანალიზში წარმოდგენილია 2019 წელს განრიდებულ არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულების მაჩვენებელი.

სტატისტიკური ინფორმაცია, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ცალკეული მუხლებით გათვალისწინებულ რა დანაშაულებზე მოხდა არასრულწლოვანთა განრიდება, მოცემულია 2019 წლის განრიდება-მედიაციის პროგრამის ანალიზში.⁵

კრიმინოლოგიური თვალსაზრისით საინტერესოა რა სახის დანაშაულებს ჩადიან არასრულწლოვნები, კერძოდ რა სახის სიკეთეს ხელყოფენ ისინი - საკუთრებას, ადამიანის ჯანმრთელობას, საზოგადოებრივ წესრიგსა და უსაფრთხოებას და ა. შ. აღნიშნული საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ რა ტიპის დანაშაულებრივი ქცევისკენ არიან ისინი მიდრეკილები.

2019 წელს განრიდებულ არასრულწლოვანთა მახასიათებლების კვლევა ცხადჰყოფს, რომ არასრულწლოვანთა დიდი უმრავლესობა საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულს ჩადის. შემდეგ ადგილზეა ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები. 437 არასრულწლოვანიდან 313-ს სწორედ საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული ჰქონდა ჩადენილი, რაც განრიდებულ არასრულწლოვანთა 71,6%-ს წარმოადგენს. საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის შემდეგ მოდის ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები - 72 არასრულწლოვანი (16,5%). 2-3%-ია სატრანსპორტო, ნარკოტიკული, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების და მმართველობის წესის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების ჩადენის მაჩვენებელი. ხოლო სხვა სახის დანაშაულთა ჩადენის შემთხვევები 1%-საც არ აღწევს.



⁵აღნიშნული ინფორმაციის მოძიება შესაძლებელია ასევე შემდეგ ელექტრონულ მისამართზე:
www.diversion.ge



საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა ძირითადი ნაწილი სავაჭრო ობიექტებშია ჩადენილი და ყველაზე ხშირად არასრულწლოვანთა მიერ ტანსაცმლის და ტკბილეულის ფარულ დაუფლებას აქვს ადგილი.

განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს ძალადობრივი ხასიათის დანაშაულები. აღსანიშნავია, რომ ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებიდან დანის გამოყენებით დანაშაული მხოლოდ 1 შემთხვევაში იქნა ჩადენილი. გვ. | 8

არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულები განსაკუთრებულ ანალიზს მოითხოვს კრიმინოლოგთა მხრიდან. ხშირად თუნდაც ეკონომიკური ხასიათის დანაშაულის განმაპირობებელი არა ცუდი მატერიალური მდგომარეობა, არამედ სხვისი მიზანძვა, თანატოლებში ავტორიტეტის მოპოვება და ა. შ. შესაძლებელია გახდეს.


4. კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა დემოგრაფიული მონაცემები

4.1. კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა მოქალაქეობა და სქესი

2019 წელს უცხო ქვეყნის მოქალაქე არასრულწლოვანი არ განრიდებულა. ამდენად, განრიდებულ არასრულწლოვანთა მაგალითზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ უცხო ქვეყნის მოქალაქე არასრულწლოვანთა მიერ დანაშაულის ჩადენას ფაქტობრივად ადგილი არ ჰქონია.

გვ. | 9

კრიმინოლოგიური თვალსაზრისით საინტერესო ინფორმაციას წარმოადგენს კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა სქესი. გავრცელებული ტენდენციის თანახმად, როგორც წესი მამრობითი სქესის არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაული მკვეთრად აღემატება მდედრობითი სქესის არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულის მაჩვენებელს. 2019 წლის განრიდებულ არასრულწლოვანთა სტატისტიკაც ამას ადასტურებს. 437 განრიდებული არასრულწლოვანიდან 390 (89%) მამრობითი სქესის, ხოლო 47 (11%) მდედრობითი სქესის გახლდათ.



4.2. კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა ასაკობრივი მაჩვენებელი

როგორც ფსიქოლოგები მიუთითებენ არასრულწლოვანები დევიაციური ქცევისკენ მიდრეკილები უფრო ადრეულ ასაკში არიან და ასაკის მატებასთან ერთად ქრება ანტისოციალური ქცევებისადმი მიდრეკილება. ამასთან, ადრეულ ასაკში დანაშაულის გამოვლენისას სწორი ჩარევის შედეგად სრულწლოვანების ასაკის მიღწევასთან ერთად ქრება დანაშაულებრივი ქცევისადმი მიდრეკილება. ამიტომ, მნიშვნელოვანია ვიცოდეთ რა ასაკობრივი კატეგორიის ბავშვები ჩადიან დანაშაულს ძირითად შემთხვევებში. სხვადასხვა კვლევების თანახმად, მოზარდებში დანაშაულის ჩადენის დონე პიკს 15-19 წლებში აღწევს და მცირდება 20 წლის ასაკისთვის. აღნიშნული ტენდენცია დამახასიათებელია დასავლური საზოგადოებისათვის.⁶ ბევრი კრიმინოლოგი ცალსახად მიუთითებს არასრულწლოვანთა დანაშაულის ეპიზოდურ ხასიათზე. ამ თეორიას მკვეთრად აწვდის გერმანელი კრიმინოლოგები, რომელთა არაერთ კვლევაში მითითებულია, რომ მოზარდმა დანაშაული შეიძლება ჩაიდინოს ნებისმიერ დროს - გარდატეხის ასაკიდან მის სრულ ჩამოყალიბებამდე.

⁶<https://www.nij.gov/topics/crime/Pages/delinquency-to-adult-offending.aspx>


გარდატეხის პერიოდთან ერთად არსებობს მოზარდის სოციალიზაციის პროცესთან დაკავშირებული პრობლემები, როცა მან შეიძლება დანაშაული ჩაიდინოს გარდატეხის ასაკში, ხოლო სოციალიზაციის დასრულების შემდეგ აღარ ჩაიდენს დანაშაულს. აღნიშნულ მოსაზრებებს ისინი ამყარებენ შესაბამისი სტატისტიკით, რომელიც არასრულწლოვანთა მიერ დანაშაულის რეციდივის თანდათანობით შემცირებას ეფუძნება პირველი დანაშაულის ჩადენიდან გარკვეული პერიოდის შემდეგ.⁷

გვ. | 10

სამწუხაროდ სრული (ბრალდებულ და განრიდებულ არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი განმეორებითი დანაშაული) რეციდივის მაჩვენებელი არ გვაქვს, მაგრამ განრიდებულ არასრულწლოვანთა რეციდივის მონაცემების საფუძველზე შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რომ ჩვენს ქვეყანაშიც ტენდენცია მსგავსია - განმეორებითი დანაშაულის ჩადენი განრიდებული ბავშვებიდან ძირითადი ნაწილი დანაშაულს კვლავ ჩადის განრიდების ხელშეკრულების დასრულებიდან პირველივე წელს, რეციდივი იკლებს მე-2 და მე-3 წელს, შემდგომ პერიოდში კი განმეორებითი დანაშაულის ჩადენის ფაქტი ფაქტობრივად აღარ ფიქსირდება.⁸

რაც შეეხება ასაკის მიხედვით განრიდებულ ბავშვთა მონაცემების საფუძველზე დათვლილ სტატისტიკურ ინფორმაციას - წინამდებარე ანალიზში წარმოდგენილი მონაცემები სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკს მიღწევის შემდეგ არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულის შესახებ, გვიჩვენებს ჩვენი ქვეყნის ტენდენციას, რომლის თანახმადაც დანაშაულის ჩადენის მაჩვენებელი ასაკის მატებასთან ერთად მზარდია 14-დან 17 წლის ჩათვლით.

437 არასრულწლოვანიდან 84-მა დანაშაული 14 წლის ასაკში ჩაიდინა, 110-მა 15 წლის ასაკში, ასევე 110-მა - 16 წლის ასაკში, 133-მა კი - 17 წლის ასაკში.



არსებობს მოსაზრება იმასთან დაკავშირებითაც, რომ სხვადასხვა ასაკში დანაშაულის მატების


ტენდენცია ასევე იცვლება დანაშაულის სახეობის მიხედვით. ძალადობრივი დანაშაული უფრო გვიან ასაკში გვხვდება, ვიდრე დანაშაული საკუთრების წინააღმდეგ. ჩვენი ქვეყნის სტატისტიკა კი ცხადყოფს, რომ ასაკის მატებასთან ერთად ზოგადად დანაშაულებრივი ქცევისკენ მიდრეკილება შეინიშნება და ეს ტენდენცია რაიმე გამოკვეთილი ფორმით რომელიმე დანაშაულთან მიმართებით არ გვხვდება. ყველა ასაკობრივ ჯგუფში ყველაზე მაღალი

⁷ მორის შალიკაშვილი, გივი მიქანაძე. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება (სახელმძღვანელო). თბილისი, ფრაიბურგი, სტრასბურგი. 2016 წ. 12-19 გვ.

ასევე, იხ.: Ostendorf, H., 2013. S. 226; Neubacher, F., 2014. S. 69; Schaffstein, F. / Beulke, W., 2005. S.11; Krüger, H., 1983. S. 326.

⁸ განრიდების რეციდივის შესახებ სტატისტიკური ინფორმაცია მოცემულია გენერალური პროკურატურის მიერ განხორციელებულ კვლევაში "განმეორებითი დანაშაული არასრულწლოვნის წესით განრიდებულ პირებში." / <http://pog.gov.ge/page/default/ganmeorebiTi-danashauli-arasrulwlovanTa-wesiT-ganridebul-pirebshi>

საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშულთა მაჩვენებელია. როგორც საკუთრების წინააღმდეგ მიმართული, ასევე ძალადობრივი ხასიათის დანაშაული იმატებს 16-17 წლის არასრულწლოვნებში და შედარებით ნაკლებია 14-15 წლის არასრულწლოვნებში.



5. კანონთან კონფლიქტში მყოფ პირთა ოჯახი

5.1. კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა ოჯახური გარემო

როგორც კრიმინოლოგები მიუთითებენ ბავშვებისა და მოზარდების ურთიერთობა ოჯახთან და დედამიწვილებთან მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ანტისოციალური ქცევის განვითარებასა და დანაშაულის ჩადენაზე.⁹ კრიმინოლოგები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ოჯახური მდგომარეობის შესწავლას, ვინაიდან ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, ადამიანი პიროვნული განვითარების პროცესში ოჯახიდან იღებს მნიშვნელოვან იმპულსებს. ოჯახის მნიშვნელობა ძირითადად დამოკიდებულია მშობლებსა და შვილებს შორის ურთიერთობაზე, ოჯახურ ატმოსფეროზე. ოჯახს მრავალი ფუნქცია და მოვალეობა აკისრია ბავშვის აღზრდასთან დაკავშირებით. ხშირად ოჯახს უჭირს ყველა ამ ვალდებულების შესრულება, შედეგად კი ვიღებთ კანონთან კონფლიქტში მყოფ ახალგაზრდებს. ოჯახის სტრუქტურა და ფუნქციონირება, რაც გულისხმობს დამოკიდებულებას ოჯახის წევრებს შორის, არის ოჯახთან დაკავშირებული ის ორი ძირითადი კატეგორია, რაც გავლენას ახდენს მოზარდის დანაშაულებრივ ქცევაზე. მიუთითებენ იმასაც, რომ მნიშვნელოვანია არა მარტო მშობლებთან ურთიერთობა, არამედ ოჯახის შემადგენლობა, არასრული ოჯახის ფენომენი და ა.შ.¹⁰ ზოგიერთი კვლევა ხედავს კავშირს მოზარდის დანაშაულებრივ ქცევასა და განქორწინებულ ოჯახს შორის. არსებობს კვლევები, რომელთა მიხედვითაც დანაშაულებრივი ქცევა ხშირია ისეთ მოზარდებში, რომელთაც ახალგაზრდა მშობლები ჰყავთ. მნიშვნელოვანი ფაქტორია მშობლებისა და მოზარდის ურთიერთდამოკიდებულება განსაკუთრებით კრიტიკულ ასაკში (15-17 წლები). რამდენიმე კვლევამ აჩვენა კავშირი მშობლების უყურადღებო დამოკიდებულებასა და მოზარდთა დანაშაულებრივ ქცევას შორის.

ოჯახებში, სადაც ოთხი და მეტი ბავშვი იზრდება, კვლევების თანახმად, უფრო მეტია რისკი, რომ მოზარდებში დანაშაულებრივი ქცევა განვითარდეს. ამის მიზეზად მოყვანილია ის გარემოება, რომ მრავალსულიან ოჯახში უფრო სუსტია დისციპლინა და ბავშვების მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ ყოფნა. თუმცა, აღნიშნული გარემოებები არ არის აუცილებლად მოზარდთა დანაშაულებრივი ქცევის განმაპირობებელი. ოჯახი, სადაც წარმოდგენილია ორივე მშობელი და ასევე, დედამიწვილთა რაოდენობა არ არის ბევრი, შესაძლოა გამოირჩეოდეს ნაკლები მეთვალყურეობით და სხვა ისეთი საჭიროებების არქონით, რაც მოზარდის პოზიტიურ განვითარებას უწყობს ხელს.

ზემოაღნიშნული საკითხების გაანალიზების მიზნით 2019 განრიდებულ არასრულწლოვანთა ინდივიდუალური შეფასებების საფუძველზე დამუშავდა შემდეგი ინფორმაცია: ჰყავთ თუ არა არასრულწლოვნებს მშობლები, ცხოვრობენ თუ არა ისინი მშობლებთან ერთად, რამდენი დედამიწვილი ჰყავთ და როგორია დედამიწვილებთან ცხოვრების ფაქტი.


საკმაოდ მაღალია კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა მაჩვენებელი, რომელთაც ორივე მშობელი ჰყავს, კერძოდ 90%. 9%-ს მხოლოდ ერთი მშობელი ჰყავს, ხოლო მხოლოდ 1%-ს არ ჰყავს არც ერთი მშობელი.

⁹Institute of Medicine and National Research Council. 2001. Juvenile Crime, Juvenile Justice. Washington, DC: The National Academies Press. doi: <https://doi.org/10.17226/9747>

¹⁰ მორის შალიკაშვილი, გივი მიქანაძე. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება (სახელმძღვანელო). თბილისი, ფრაიბურგი, სტრასბურგი. 2016 წ. 22-24 გვ.


კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა მაჩვენებელი მშობელთა ყოლის მიხედვით

- ჰყავს ორივე მშობელი - 383 (87%)
- ჰყავს მხოლოდ 1 მშობელი - 52 (12%)
- არ ჰყავს არც ერთი მშობელი - 2 (1%)




იმ ორი არასრულწლოვნის შემთხვევაში, რომელთაც არც ერთი მშობელი არ ჰყავთ, მშობლების არ ყოლის მიზეზი მათი გარდაცვალებაა. დანარჩენ 52 შემთხვევაში ერთ-ერთი მშობლის არყოლის მიზეზი შემდეგია:

მშობელთა არყოლის მიზეზები



87% შემთხვევაში ორივე მშობლის ყოლის ფაქტი საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია და არ იძლევა რაიმე სახის დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას. თუმცა ოჯახური მდგომარეობის სხვა მახასიათებლებსაც თუ გავითვალისწინებთ ვნახავთ, რომ ეს მაჩვენებელი შემცირდება. მაგალითად 383 არასრულწლოვანს ორივე მშობელი ჰყავს, მათგან 57 (15%) კი განქორწინებულია.

განქორწინების სტატისტიკა




მშობლების განქორწინების მაჩვენებელი 15%


შესაძლებელია მშობლები განქორწინებულნი არ იყვნენ, მაგრამ ბავშვებს მაინც მოკლებული ჰქონდათ ორივე მშობელთან ურთიერთობის შესაძლებლობა. ამის ერთ-ერთი მიზეზი მშობელთა ემიგრაციაში ყოფნა გახლავთ. სტატისტიკურად გაანალიზდა იმ ბავშვების



მშობლების ადგილსამყოფელი, რომელთაც ორივე მშობელი ჰყავთ და მონაცემების მიხედვით ერთ-ერთი ან ორივე მშობლის საზღვარგარეთ ყოფნის ფაქტი 23% შემთხვევაში დაფიქსირდა. უფრო კონკრეტულად 383 ბავშვის შემთხვევაში ორივე მშობელი საქართველოში იმყოფება 77% შემთხვევაში, ორივე მშობელი საზღვარგარეთ იმყოფება 5% შემთხვევაში, საზღვარგარეთ იმყოფება დედა 9% შემთხვევაში, საზღვარგარეთ იმყოფება მამა - 9% შემთხვევაში.




მიუხედავად ორივე მშობლის ყოლის მაღალი პროცენტული მაჩვენებლისა, ზემოაღნიშნულ (განქორწინება, ემიგრაცია) და სხვა მიზეზთა გამო, ორივე მშობელთან თანაცხოვრების შესაძლებლობა განრიდებულ არასრულწლოვანთა 58,4%-ს. სხვა შემთხვევებში არასრულწლოვანთა მშობლებთან და სხვა პირებთან თანაცხოვრების შესახებ მონაცემები შემდეგია:




ზემოთ უკვე ვისაუბრეთ მრავალშვილიანი ოჯახებში გაზრდილ ბავშვთა მიმართ არსებულ შესაძლო რისკფაქტორებზე. თუმცა კრიმინოლოგიური ანალიზი აჩვენებს, რომ ეს ფაქტორი გადამწყვეტი არ აღმოჩნდა დანაშაულებრივი ქცევისაკენ მიდრეკილების განმაპირობებელ გარემოებებში. 16,2% შემთხვევაში განრიდებულ არასრულწლოვნებს საერთოდ არ ჰყავდათ



დედმამიშვილი, ხოლო 51,3% შემთხვევაში მხოლოდ ერთი დედმამიშვილი ჰყავდათ, განრიდებულ არასრულწლოვანთა 18,8%-ს ჰყავდა 2 დედმამიშვილი, ხოლო მრავალშვილიან ოჯახს მიეკუთვნებოდა განრიდებულ არასრულწლოვანთა 13,7%.



366 ბავშვიდან, რომელთაც ჰყავთ 1 ან მეტი დედმამიშვილი 15 მათგანი საერთოდ არ ცხოვრობს დედმამიშვილთან, რამდენიმე დედმამიშვილთან ერთად ცხოვრობს 126 ბავშვი, დასთან ერთად ცხოვრობს 108 ბავშვი, ძმასთან ერთად კი ცხოვრობს 117 ბავშვი.



5.2. არასრულწლოვანთა ოჯახის წევრების დანაშაულებრივი გამოცდილება და დამოკიდებულება არასრულწლოვნის მიერ ჩადენილი დანაშაულისადმი


არაერთგზის მივუთითეთ, რომ ხშირად არასრულწლოვნის დანაშაულებრივი ქცევის განმაპირობებელი ოჯახური გარემო გახლავთ. არის შემთხვევები, როდესაც კრიმინალური წარსულის მქონე ოჯახის წევრი მაგალითი ხდება არასრულწლოვნისთვის. შესაბამისად, კრიმინოლოგიური მიზნებისთვის აუცილებელია გავარკვიოთ როგორია კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა ოჯახის წევრების დანაშაულებრივი გამოცდილება და მათი დამოკიდებულება არასრულწლოვნის მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებისადმი.



როგორც განრიდებულ არასრულწლოვანთა მონაცემების ანალიზიდან ირკვევა ძირითადად ოჯახის წევრებს არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებისადმი უარყოფითი დამოკიდებულება აქვთ. 437 არასრულწლოვნის ოჯახის წევრიდან მხოლოდ 14-მდეა დააფიქსირა არასრულწლოვნის მიერ ჩადენილ დანაშაულის მიმართ დადებითი დამოკიდებულება. დანარჩენი 423 არასრულწლოვნის ოჯახის წევრმა მკვეთრად უარყოფითი პოზიცია გამოხატა არასრულწლოვნის მიმართ ჩადენილ დანაშაულზე.

გვ. | 16

დაბალია კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა ოჯახის წევრების ნასამართლობის მაჩვენებელი. როგორც 2019 წელს განრიდებულ არასრულწლოვანთა მონაცემების ანალიზმა ცხადყო კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა ოჯახის წევრები 88% შემთხვევაში ნასამართლეები არ ყოფილან, 7% შემთხვევაში ნასამართლევი იყო მამა, 4% შემთხვევაში - ოჯახის სხვა წევრი, ხოლო მხოლოდ 1% შემთხვევაში ოჯახის რამდენიმე წევრი.




6. არასრულწლოვანთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა

6.1. ოჯახის შემოსავალი

კვლევებით დასტურდება, რომ დანაშაულის დონე განსაკუთრებით იმატებს დაბალი ეკონომიკური და სოციალური განვითარების სოციუმში. შესაბამისად კრიმინოლოგიური ანალიზის სფეროში მოხვდა კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვთა ოჯახების ეკონომიკური მდგომარეობის შესწავლის აუცილებლობაც.

გვ. | 17

ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობის გაანალიზების შედეგად გაირკვა, რომ არასრულწლოვანთა 50%-ს ჰქონდა ოჯახის ყველა ძირითადი საჭიროების დასაკმაყოფილებლად საკმარისი შემოსავალი, 44%-ს ჰქონდა მხოლოდ პირველადი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად საკმარისი შემოსავალი, ხოლო 3%-ის შემთხვევაში პირველადი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად საკმარის შემოსავალიც კი არ ჰქონდათ არასრულწლოვანთა ოჯახებს. იმ არასრულწლოვანთა ოჯახები, რომლებსაც შეეძლოთ ყველა დამატებითი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, მხოლოდ 3% გახლავთ.




მართალია, ძალიან დაბალია ისეთი ოჯახების რაოდენობა, რომელთა შემოსავალიც არასაკმარისია პირველადი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, მაგრამ ასევე თვალშისაცემია ის ფაქტი, რომ განრიდებულ არასრულწლოვანთა მნიშვნელოვანი ნაწილის ოჯახის შემოსავალი საკმარისია მხოლოდ პირველადი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად (44%). ზემოთ მოცემული სტატისტიკური ინფორმაცია აშკარად მიუთითებს, რომ კვლევაში მოხვედრილი 437 ბავშვის ოჯახებიდან ოჯახთა თითქმის აბსოლუტურ უმრავლესობას შვილებისთვის მხოლოდ პირველადი და ძირითადი საჭიროებების დაკმაყოფილების შესაძლებლობა აქვს, რაც შესაძლებელია აჩენდეს გარკვეული შურის განცდას იმ თანატოლთა მიმართ, რომელთა ოჯახებიც ეკონომიკური განვითარების გაცილებით მაღალ საფეხურზე დგანან.

საინტერესოა საკუთრების წინაღმდეგ მიმართული დანაშაულების ჩამდენ არასრულწლოვანთა ოჯახების ეკონომიკური მდგომარეობის გაანალიზებაც. უნდა აღინიშნოს რომ სიტუაცია ფაქტობრივად ზოგადი მაჩვენებლის იდენტურია.


საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშულის ჩამდენ არასრულწლოვანთა ოჯახების შემოსავალი

- საკმარისი ოჯახის ყველა ძირითადი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად - 152
- საკმარისი მხოლოდ პირველადი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად - 142
- არასაკმარისი პირველადი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად - 13
- საკმარისი ოჯახის ყველა სხვა დამატებითი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად - 6



ეკონომიკურ მდგომარეობასთან ერთად გაანალიზდა მშობელთა დასაქმების მაჩვენებელი, რის საფუძველზეც გაირკვა, რომ ორივე მშობელი დასაქმებულია 44% შემთხვევაში, ორივე მშობელი უმუშევარია 7% შემთხვევაში, მხოლოდ მამა დასაქმებულია 26% შემთხვევაში, მხოლოდ დედა - 21% შემთხვევაში, 1%-ში გაურკვეველია მშობელთა დასაქმება.

არასრულწლოვანთა მშობელების დასაქმება



- კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის ორივე მშობელი დასაქმებულია - 194
- კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის მამა დასაქმებულია - 115
- კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის დედა დასაქმებულია - 91
- კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის ორივე მშობელი უმუშევარია - 30
- კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის მშობელების დასაქმება გაურკვეველია - 5
- კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის ორივე მშობელი გარდაცვლილია - 2


ძალიან დაბალია იმ ოჯახთა რაოდენობა, რომლებიც ჩართული იყვნენ სამთავრობო თუ არასამთავრობო ზრუნვის პროგრამაში. ასეთი ოჯახების რაოდენობა 437 კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანიდან მხოლოდ 9 იყო, რაც განრიდებულ არასრულწლოვანთა 2%-ია. მაშინ, როდესაც მხოლოდ იმ ოჯახთა პროცენტული მაჩვენებელი, რომელთა შემოსავალი პირველადი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად კი არ იყო საკმარისი 4%-ია.

6.2. არასრულწლოვანთა საცხოვრებელი გარემო


არასრულწლოვანთა საცხოვრებელი გარემოს შესწავლის შემდეგ გაირკვა, რომ ძირითადი მათგანი (85%) საკუთრებაში არსებულ ფართში ცხოვრობს. არასრულწლოვანთა ოჯახი 3 შემთხვევაში გირავნობის ხელშეკრულების საფუძველზე, ხოლო 45 შემთხვევაში ქირავნობის



ხელშეკრულების საფუძველზე სარგებლობაში არსებულ ფართში ცხოვრობს. მხოლოდ ერთი არასრულწლოვანი ცხოვრობდა ბავშვთა სახლში, 3 არასრულწლოვნის ოჯახი განთავსებული იყო თავშესაფარში, 12 არასრულწლოვნის ოჯახი კი სახელმწიფოს მიერ გამოყოფილ ფართშია განთავსებული.



როგორც ანალიზმა აჩვენა არასრულწლოვანთა საცხოვრებელი გარემო უმეტეს შემთხვევაში ვარგისი (97%), ხოლო სანიტარული პირობები ძირითადად დამაკმაყოფილებელია (99%).




7. კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვნების განათლება და სამუშაო გამოცდილება

7.1. კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა განათლება

არასრულწლოვანთა დანაშაულის გამომწვევი მიზეზების ზოგად მიმოხილვაში განათლებისა გვ. | 20 და სკოლის როლსაც გავუსვით ხაზი. კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ ოჯახთან ერთად არასრულწლოვანზე ზეგავლენის მოხდენის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ისეთ ინსტიტუციებს, როგორცაა სკოლა და სამეგობრო წრე. მნიშვნელოვანია იმის გარკვევაც რამდენად დაკავებულები არიან არასრულწლოვნები ფორმალური განათლების მიღების მიღმა და როგორ მართავენ ისინი თავისუფალ დროს.


განრიდებულ არასრულწლოვანთა 77% საჯარო სკოლაში იღებს საშუალო განათლებას. აღნიშნული მაჩვენებელი საჯარო სკოლებში პრევენციული ღონისძიებების გააქტიურების აუცილებლობაზე მიუთითებს. საკმაოდ მაღალია იმ არასრულწლოვანთა მაჩვენებელი, რომლებიც საერთოდ არ იღებენ განათლებას - 15%. კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა ძალიან მცირე ნაწილი -4%, კერძო სკოლაში სწავლობს, 3%-მა უკვე გააგრძელა სწავლა განათლების უმაღლეს საფეხურზე, ხოლო 1% სწავლას პროფესიულ სასწავლებელში განაგრძობს.



იმ 422 ბავშვიდან, რომლებიც იღებენ განათლებას საკმაოდ დაბალია კარგი აკადემიური მოსწრების მაჩვენებელი. კერძოდ, მხოლოდ 34 (8%) არასრულწლოვანს ჰქონდა კარგი აკადემიური მოსწრება, 32-ს (7%) - არადაამაკმაყოფილებელი აკადემიური მოსწრება, ხოლო 309 (73%) არასრულწლოვანს - დამაკმაყოფილებელი აკადემიური მოსწრება.


რაც შეეხება ყოფაქცევას - კარგი ყოფაქცევით გამოირჩეოდა 46 (11%) არასრულწლოვანი, ცუდად ხასიათდებოდა 15 (4%) არასრულწლოვნის ყოფაქცევა, ხოლო 317 (75%) არასრულწლოვნის ყოფაქცევა დამაკმაყოფილებლად იქნა შეფასებული.

არასრულწლოვანთა აკადემიური მოსწრება და ყოფაქცევა




აღსანიშნავია, რომ არასრულწლოვანთა მხოლოდ 3% -ს (11 არასრულწლოვანი) ჰქონდა წერა-კითხვასთან დაკავშირებული პრობლემები, რაც თითქოს არ არის მაღალი მაჩვენებელი, მაგრამ მაინც მნიშვნელოვანი გარემოება გახლავთ.

სულ 437 არასრულწლოვანიდან წერა-კითხვასთან დაკავშირებული პრობლემა ჰქონდა 11 არასრულწლოვანს




კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა, რომ 437 კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანიდან 295 არ იყო დაკავებული არანაირი დამატებითი აქტივობით, რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია და 68%-ს წარმოადგენს. ამასთან, 295 არასრულწლოვანიდან, რომელიც დაკავებული არ იყო არანაირი დამატებითი აქტივობით 61 არც სწავლობდა. სპორტული საქმიანობით და ხელოვნებით დაკავებულია სულ 79 (18%) არასრულწლოვანი, რეპეტიტორთან დადის სულ 49 (11%) არასრულწლოვანი, სხვა სახის აქტივობებში კი (პროფესიული უნარ-ჩვევების შეძენა) ჩართულია 14(3%) არასრულწლოვანი.

არასრულწლოვანთა დამატებით აქტივობებში ჩართულობა




მაღალია იმ არასრულწლოვანთა მაჩვენებელი, რომელთაც გამოთქვეს სწავლის გაგრძელების მზაობა. 437 არასრულწლოვნის ინდივიდუალურ შეფასებაში კითხვაზე: გსურთ თუ არა სწავლის გაგრძელება, დადებითი პასუხი გასცა 348 არასრულწლოვანმა. ამდენად, არასრულწლოვანთა 80%-მა გამოხატა მზაობა გააგრძელოს სწავლა და მიიღოს განათლება.



7.2. კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა სამუშაო გამოცდილება

2019 წელს კვლევის ფარგლებში არასრულწლოვანთა მონაცემების გაანალიზების საფუძველზე გაირკვა, რომ არასრულწლოვანთა საკმაოდ დიდ ნაწილს - 437 არასრულწლოვანიდან 241 არ არის დასაქმებული, ხოლო 196-ს აქვს სამუშაო გამოცდილება, რაც სულ განრიდებულ არასრულწლოვანთა 45%-ს წარმოადგენს.

სამუშაო გამოცდილების მქონე 196 არასრულწლოვანიდან 43 არ სწავლობს, ხოლო 153 არასრულწლოვანს, ანუ დასაქმებულ არასრულწლოვანთა 78%-ს, სწავლისა და სამუშაოს შეთავსება უწევს.




ანალიზის მიზნებისთვის შესწავლილი იქნა იმ ბავშვთა ოჯახური და ეკონომიკური მდგომარეობა, რომელთაც აქვთ სამუშაო გამოცდილება. აღნიშნული საინტერესო იყო იმ ფაქტის გასარკვევად მათ იძულებით უწევთ გარკვეული საქმიანობის შესრულება, თუ თავისუფალი დროის გადანაწილება ხდება რაციონალურად. ასევე, ხომ არ არიან ეს ბავშვები ოჯახის მეთვალყურეობას მოკლებული და რა აიძულებთ დასთანხმდნენ ნებისმიერი სახის სამუშაოს.

სამუშაო გამოცდილების მქონე ბავშვთა უმრავლესობა - 196-დან 112 არასრულწლოვანი, დასაქმებულ არასრულწლოვანთა სხვა პირებთან თანაცხოვრების შესახებ დეტალური ინფორმაცია კი ასეთია:




დასაქმებულ არასრულწლოვანთა მშობლებთან და სხვა პირებთან თანაცხოვრება



რაც შეეხება ამ ოჯახთა ეკონომიკურ მდგომარეობას სიტუაცია ასეთია: 99 შემთხვევაში ოჯახის შემოსავალი საკმარისია მხოლოდ პირველადი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, ხოლო 6 შემთხვევაში - არასაკმარისია პირველადი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად კი. რაც ადასტურებს იმ ფაქტს, რომ 54% შემთხვევაში ბავშვებს მუშაობა ოჯახის დასახმარებლად უწევთ; 88 შემთხვევაში ოჯახის შემოსავალი საკმარისია ძირითადი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად, ხოლო 3 შემთხვევაში - ოჯახის შემოსავალი ყველა სხვა დამატებითი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლადაც საკმარისია.

სამუშაო გამოცდილების მქონე არასრულწლოვანთა ოჯახის შემოსავალი

- საკმარისი მხოლოდ პირველადი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად - 99
- საკმარისი ოჯახის ყველა ძირითადი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად - 88
- არასაკმარისი პირველადი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად - 6
- საკმარისი ოჯახის ყველა სხვა დამატებითი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად - 3



8. კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა მახასიათებლები

8.1. კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა ჯანმრთელობის მდგომარეობა


კრიმინოლოგიური თვალსაზრისით ერთ-ერთ მნიშვნელოვან გარემოებას, რომელიც დანაშაულებრივი ქცევის გამომწვევ ფაქტორად შესაძლებელია იქცეს, არასრულწლოვანთა ფიზიკური, გონებრივი განვითარების დონე, მათი ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობა გახლავთ.

83 | 24


ავადმყოფობის ან ფიზიკური ნაკლის გამო არასრულწლოვანი შესაძლებელია გახდეს დაცინვის ობიექტი, რაც თავის მხრივ არასრულწლოვანში დანაშაულებრივი ქცევის მაპროვოცირებელი გარემოება შეიძლება წარმოადგენდეს. კვლევის ფარგლებში ცალ-ცალკე გაანალიზდა არასრულწლოვანთა ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები.

კვლევის სამიზნე 437 არასრულწლოვანიდან ფიზიკურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემა 69 (16%) არასრულწლოვანს ჰქონდა, ხოლო დანარჩენ 368 (84%) არასრულწლოვანს ფიზიკურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული არანაირი პრობლემა არ აღენიშნებოდა. უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთ მითითებულ 69 შემთხვევაში ყველა არასრულწლოვანს აღენიშნებოდა სხვადასხვა სახის კლინიკური დაავადებები (თირკმელთან დაკავშირებული პრობლემები, ასთმური და ალერგიული ხასიათის დაავადებები, დიაბეტი და სხვა). არც ერთ შემთხვევაში სახეზე არ გვექონია ფიზიკურ განვითარებასთან დაკავშირებული რაიმე სახის პრობლემა.


რაც შეეხება ფსიქიკურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ პრობლემებს. 437 არასრულწლოვანიდან ფსიქიკურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემა აღმოაჩნდა 13 (3%) ბავშვს. სხვა შემთხვევაში ფსიქიკურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული არანაირი პრობლემა არ დაფიქსირებულა. ფსიქიკური ჯანმრთელობის მქონე ბავშვებს სხვადასხვა ფორმით აღენიშნებოდათ აზროვნების, მეხსიერებისა და ყურადღების პრობლემები.



ანალიზის მიზნებისთვის შესწავლილი იქნა არასრულწლოვანთა ქცევითი თავისებურებები, რომლის შედეგადაც გაირკვა, რომ ქცევითი თავისებურება არ ახასიათებდა 402 არასრულწლოვანს, დანარჩენ 35 არასრულწლოვანს კი ახასიათებდათ ისეთი ქცევითი თავისებურებები, როგორცაა: ჰიპერაქტიურობა, კონფლიქტურობა, პასიურობა, მაპროვოცირებელი ქცევა და სხვა.




დესტრუქციული ქცევა დამახასიათებელი აღმოჩნდა 9 ბავშვისთვის, საიდანაც 5 თვითდაზიანებისკენ იყო მიდრეკილი, 2 - სუიციდისკენ, 2 შემთხვევაში კი სახეზე გვქონდა სუიციდისა და თვითდაზიანების ფაქტები ერთდროულად.



არასრულწლოვანთა გარკვეულ ნაწილს აღენიშნებოდა თვითკონტროლის უნართან მიმართებითაც პრობლემები. 13 (3%) არასრულწლოვნის მიმართ შეფასებაში სოციალური მუშაკის მიერ ცალსახად დაფიქსირდა, რომ არ ჰქონდათ თვითკონტროლის უნარი არასრულწლოვნებს, 66 (15%) არასრულწლოვნის მიმართ სოციალურმა მუშაკმა კითხვაზე აქვს თუ არა არასრულწლოვანს თვითკონტროლის უნარი, უპასუხა, რომ უჭირს პასუხის გაცემა, ხოლო 358 (82%) არასრულწლოვნის მიმართ სოციალურმა მუშაკმა დააფიქსირა მოსაზრება, რომ მათ აქვთ თვითკონტროლის უნარი.

არასრულწლოვანთა თვითკონტროლის უნარი



მხოლოდ ერთეულ შემთხვევებში დაფიქსირდა აზროვნების, ყურადღებისა და მეხსიერების პრობლემები. კერძოდ, 437 არასრულწლოვანიდან 6-ს აღენიშნებოდა აზროვნებასთან დაკავშირებული პრობლემები, 4-ს - მეხსიერებასთან დაკავშირებული პრობლემები, ხოლო 3 არასრულწლოვანს ყურადღებასთან დაკავშირებული პრობლემები.


8.2. არასრულწლოვანთა ძალადობრივი ქმედების გამოცდილება

ძალადობა ოჯახში, სკოლასა თუ იმ გარემოში, სადაც მოზარდი ცხოვრობს, დიდ გავლენას ახდენს მოზარდის ანტისოციალური ქცევის ჩამოყალიბებასა და დანაშაულის ჩადენაზე.

გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ 2013 წელს ჩატარებული კვლევის - „ბავშვთა მიმართ ძალადობა,“ საქართველოში შედეგებმა აჩვენა, რომ ბავშვთა მიმართ ძალადობა საქართველოში ფართოდაა მიღებული. ყოველი მეორე ქართველი მიიჩნევს, რომ დასჯის ძალადობრივი ფორმები უფრო ქმედითია, ვიდრე არაძალადობრივი აღმზრდელი მეთოდები. უფრო ხშირად ქალები, ვიდრე კაცები, ფიქრობენ, რომ ბავშვის მიმართ ძალადობა დასაშვებია დისციპლინური სასჯელია. კვლევის შედეგები გვიჩვენებს, რომ თუ ძალადობა შეუფერხებლად ხორციელდება და კითხვებს არ იწვევს, ეს კიდევ უფრო უწყობს ხელს ძალადობის მიმართ ტოლერანტობის დონის ზრდას. შედეგად ბავშვთა მიმართ ძალადობის წილი მაღალია. კიდევ უფრო მაღალია ძალადობის მიმართ ტოლერანტობის დონე. 2018 წელს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ განახორციელა საჭიროებების კვლევა ბავშვთა მიმართ ძალადობის საკითხებზე. კვლევაში განხილული ძალადობის სხვადასხვა ფორმები და მათი შედეგები, საგანგაშო შედეგებზე მიუთითებს.


განრიდებულ არასრულწლოვანთა მაგალითზე, კვლევამ აჩვენა რომ კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა გარკვეული ნაწილი იყო ძალადობის მსხვერპლი ან თვითონ ჰქონია

ძალადობრივი ქცევის გამოცდილება. 437 არასრულწლოვანიდან 372 (75%) არ ყოფილა ძალადობის მსხვერპლი, 13 (3%) არასრულწლოვანის მიმართ არასებობის ძალადობის განხორციელების ეჭვი, დანარჩენ 86 (20%) ბავშვის მიმართ კი დასტურდება სხვადასხვა სახის ძალადობის განხორციელების ფაქტი.




დეტალურად განრიდებულ არასრულწლოვანთა მიმართ განხორციელებული ძალადობის, ან სავარაუდო ძალადობისა და ძალადობის შესაბამისი სახეების შესახებ ინფორმაცია შემდეგია:






რაც შეეხება არასრულწლოვანთა მიერ განხორციელებულ ძალადობის ფაქტებს - კვლევის თანახმად 437 არასრულწლოვანიდან 324-ს (74%) არ ჰქონდა ძალადობრივი ქცევის



გამოცდილება, 9-ის (2%) მიმართ არსებობს ძალადობრივი ქცევის გამოცდილების ეჭვი, ხოლო 104 (24%) არასრულწლოვანს ჰქონდა სხვადასხვა სახის ძალადობრივი ქცევის გამოცდილება.


არასრულწლოვანთა ძალადობრივი ქცევის გამოცდილების შესახებ დეტალური მონაცემები ძალადობის სახის მიხედვით შემდეგია:



8.3. კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა დამოკიდებულება მავნე ჩვევებზე

როგორც არასრულწლოვნებთან, ასევე, ზრდასრულ კანონთან კონფლიქტში მყოფ პირებთან ფართოდ არის გავრცელებული ალკოჰოლისა და ნარკოტიკული საშუალების მოხმარება. ამასთანავე, დამოკიდებულება აზარტულ თამაშებსა და კომპიუტერულ თამაშებზეც უარყოფით ფაქტორად განიხილება ანტისოციალური ქცევის ჩადენისას. შესაბამისად კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა კრიმინოლოგიური ანალიზის მიზნებისთვის შესწავლილ იქნა არასრულწლოვანთა დამოკიდებულება სხვადასხვა მავნე ჩვევებისადმი.

კვლევის შედეგებმა აჩვენა შემდეგი: ინდივიდუალურ შეფასებაში არსებული მონაცემების თანახმად არასრულწლოვანთა 90%-ზე მეტს არ გააჩნია არანაირი მავნე ჩვევა. კერძოდ, მხოლოდ 5% შემთხვევაში (20 არასრულწლოვანი) გამოკვეთა ნარკოტიკულ საშუალებებზე დამოკიდებულება, ასევე 5% შემთხვევაში (20 არასრულწლოვანი) სახეზე გვქონდა ალკოჰოლურ სასმელებზე დამოკიდებულება, კომპიუტერულ თამაშებზე დამოკიდებულება გამოიკვეთა 3% შემთხვევაში (14 არასრულწლოვანი) და აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულება - მხოლოდ 1% შემთხვევაში (3 არასრულწლოვანი).




როგორც ვხედავთ არასრულწლოვანთა დამოკიდებულება მავნე ჩვევებზე ძალიან დაბალია, რაც მეტად ზრდის სწორი სარეაბილიტაციო პროგრამების ფარგლებში მათ მიერ შემდგომი ქცევის გამოსწორების შესაძლებლობას და ამცირებს განმეორებითი დანაშაულის ჩადენის რისკს.



8.4. კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა დამოკიდებულება თანატოლებთან და საზოგადოებასთან


ხშირ შემთხვევებში არასრულწლოვანთა მხრიდან დანაშაულის ჩადენის განმაპირობებელი მიზეზი საზოგადოებისგან მათი გაუცხოება შეიძლება გახდეს. არასრულწლოვნები ხშირად გარიყულად გრძნობენ თავს საზოგადოებისგან და თანატოლებისგან, მათი დანაშაულებრივი ქცევა კი პროტესტის გამოხატულებაა გარესამყაროს მიმართ.

კვლევის ფარგლებში განრიდებულ არასრულწლოვანთა მიერ თანატოლებთან დამოკიდებულების შესწავლისას გამოიკვეთა, რომ განრიდებულ არასრულწლოვანთა 98%-ს თანატოლებთან დადებითი ურთიერთობა აქვთ. ინდივიდუალური შეფასებების თანახმად მხოლოდ 2-მა არასრულწლოვანმა დააფიქსირა თანატოლთა მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება, ხოლო 5-მა - ნეიტრალური.



რაც შეეხება საზოგადოების

არასრულწლოვნისადმი დამოკიდებულებას. აღნიშნული მაჩვენებლის განსაზღვრა თავად არასრულწლოვნის შეფასების საფუძველზე მოხდა. ინდივიდუალურ შეფასებაში დასმული



კითხვა, გულისხმობს არასრულწლოვნის დამოკიდებულების გარკვევას, როგორაა მისდამი საზოგადოება დამოკიდებული. განრიდებულ არასრულწლოვანთა 93% (408 არასრულწლოვანი) თვლის, რომ საზოგადოება მისდამი დადებითად არის განწყობილი. არასრულწლოვანთა 6%-ს (27 არასრულწლოვანი) მიაჩნია, რომ საზოგადოება მის მიმართ ნეიტრალურადაა განწყობილი. მხოლოდ 1%-ს (2 არასრულწლოვანი) მიაჩნია, რომ საზოგადოება მის მიმართ უარყოფითად არის განწყობილი.

როგორც ვხედავთ, განრიდებულ არასრულწლოვანთა მაგალითის მიხედვით არასრულწლოვნის საზოგადოებისგან გარიყვა ან თანატოლებთან ურთიერთობის პრობლემები არ წარმოადგენს მათ მიერ დანაშაულის ჩადენის საფუძველს.

8.5. კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა მიერ დანაშაულის გაცნობიერება

რა კუთხით უნდა წარიმართოს კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვთან მუშაობა და ზოგადად როგორ უნდა დაიგეგმოს პრევენციული ღონისძიებები, ბევრადაა დამოკიდებული არასრულწლოვანთა მიერ დანაშაულის გაცნობიერებასთან. არის შემთხვევები, როდესაც ბავშვი




იმპულსურად მოქმედებს და ვერც კი აცნობიერებს რა არის დანაშაული. ამის შესახებ ისინი თავად საუბრობენ სხვადასხვა სარეაბილიტაციო პროგრამების ფარგლებში. არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენცია ბევრად არის დამოკიდებულ მათთვის სწორი ინფორმაციის მიწოდებაზე. საქართველოს პროკურატურა სისტემატურად ხვდება სკოლის მოსწავლეებს, რომელთაც აწვდის ინფორმაციას სხვადასხვა დანაშაულთა შესახებ. კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეში კი არასრულწლოვნის მიმართ, რომელსაც უჭირს მის მიერ ჩადენილი ქმედების გაცნობიერება, ხდება შესაბამისი ვალდებულებების დაკისრება, რაც მას ჩადენილი ქმედების გაცნობიერებაში ეხმარება.

დანაშაულის აღიარება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით განრიდების ერთ-ერთ სავალდებულო პირობას წარმოადგენს. ვინაიდან კვლევა განრიდებულთა მონაცემების საფუძველზე განხორციელდა არასრულწლოვანთა სისხლის სამართლებრივი მიზნებისთვის აღიარა ჩადენილი დანაშაული. თუმცა, სოციალური მუშაკის მიერ ინდივიდუალური შეფასების განხორციელებისას იკვეთება, რომ არასრულწლოვნებს რიგ შემთხვევებში უჭირთ ჩადენილი დანაშაულის გაცნობიერება. 437 განრიდებული არასრულწლოვანიდან სოციალურ მუშაკთან 308 ჩადენილ დანაშაულს მთლიანად აღიარებს, 123 აღიარებს ნაწილობრივ, ხოლო 6 - საერთოდ არ აღიარებს დანაშაულს. აქ ცალსახად იკვეთება გაცნობიერების პრობლემა. არასრულწლოვნები სისხლის სამართლის მიზნებისთვის აღიარებენ და არ უარყოფენ ჩადენილ ქმედებას, მაგრამ ვინაიდან მათი ეს ქმედება გარკვეული გარემოებებითაა ნაკარნახევი უჭირთ გაგება რატომ უნდა აიღონ პასუხისმგებლობა შედეგზე და აქვთ თავის მართლების უამრავი არგუმენტი, რაც ვლინდება სოციალურ მუშაკთან.

არასრულწლოვანთა მიერ დანაშაულებრივი ქცევის გაცნობიერება

- აღიარებს სრულად - 308 არასრულწლოვანი
- აღიარებს ნაწილობრივ - 123 არასრულწლოვანი
- არ აღიარებს - 6 არასრულწლოვანი



9. დასკვნა

(კვლევის ძირითადი მიგნებები)

2019 წელს განრიდებული 437 არასრულწლოვნის ინდივიდუალური შეფასებების საფუძველზე განხორციელებული არასრულწლოვანთა მახასიათებლების ანალიზის შედეგად გამოიკვეთა საკითხები, რომელთა სწორი შეფასება მნიშვნელოვანია არასრულწლოვანთა გვ. | 31 მართლმსაჯულების განვითარებისა და არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციისთვის. დასკვნის სახით გამოვყოფთ რამდენიმე მათგანს.

არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულის ხასიათი:

- არასრულწლოვანთა უმრავლესობა მიდრეკილია საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების ჩადენისკენ. განრიდებულ არასრულწლოვანთა 71,6%-ს ჩადენილი ჰქონდა საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული;
- დაბალია ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის მაჩვენებელი, მაგრამ ის საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის შემდეგ 16,5%-ით მეორე ადგილს იკავებს.

კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა გენდერული ბალანსი, მოქალაქეობა და ასაკი:

- დანაშაულებრივი ქცევისკენ მიდრეკილება მაღალი პროცენტული მაჩვენებლით ვლინდება ბიჭებში, 437 განრიდებული არასრულწლოვანიდან 430-ს (89%) სწორედ მამრობითი სქესის იყო;
- კანონთან კონფლიქტში მყოფ განრიდებულ არასრულწლოვანთა 100% საქართველოს მოქალაქეა;
- დანაშაულებრივი ქცევისკენ მიდრეკილება იმატებს 16-დან 18 წლამდე ასაკის არასრულწლოვნებში. განრიდებულ არასრულწლოვანთა 19%-ს დანაშაული 14 წლის ასაკში ჰქონდა ჩადენილი, 25%-ს - 15 წლის ასაკში, 25%-ს - 16 წლის ასაკში, 31%-ს - 17 წლის ასაკში. ტენდენცია იდენტურია დანაშაულის სახეებთან მიმართებითაც.

არასრულწლოვანთა მიერ დანაშაულის მაჩვენებელის გეოგრაფიული დაყოფა:

- არასრულწლოვანთა დანაშაულის განსაკუთრებით მაღალი მაჩვენებელი ფიქსირდება დედაქალაქში. განრიდებულ არასრულწლოვანთა 40%-ს დანაშაული დედაქალაქში ჰქონდა ჩადენილი;
- რეგიონებიდან არასრულწლოვანთა დანაშაულის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა დასავლეთის რეგიონში - 437 განრიდებული და 330 ბრალდებული არასრულწლოვანიდან დასავლეთის რეგიონში დანაშაული ჩადენილი ჰქონდა 110 არასრულწლოვანს (14%);
- ყველაზე დაბალი მაჩვენებელი კი დაფიქსირდა კახეთის რეგიონში - 437 განრიდებული და 330 ბრალდებული არასრულწლოვანიდან კახეთის რეგიონში დანაშაული ჩადენილი ჰქონდა 34 (4%) არასრულწლოვანს.
- რაოდენობრივი მაჩვენებლისგან მკვეთრად განსხვავდება კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა მაჩვენებელი ყოველ 1000 მოსახლეზე. კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა კოეფიციენტი არ არის მაღალი არც მთელი ქვეყნის მასშტაბით, არც რეგიონულ ჭრილში. ეს მაჩვენებელი 1000 მოსახლეზე 1 მთელსაც არ აღწევს. ყველაზე

მაღალი კოეფიციენტი სამცხე-ჯავახეთის რეგიონში ფიქსირდება - 0,38, შემდეგ თბილისსა (0,26) და დასავლეთში (0,22). ყოველ 1000 მოსახლეზე კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა ყველაზე დაბალი მაჩვენებელი კახეთის რეგიონშია - 0,21.

არასრულწლოვანთა ოჯახური მდგომარეობა:

- ბავშვების უმრავლესობას (437 არასრულწლოვანიდან 383-ს (87%)) ჰყავთ ორივე მშობელი;
- მშობელთა ყოლის მიუხედავად, არასრულწლოვნები მშობლების განქორწინების ან საზღვარგარეთ ყოფნის გამო მოკლებულნი არიან ოჯახურ გარემოში ცხოვრების შესაძლებლობას. იმ ბავშვების საერთო რაოდენობიდან, რომელთაც ორივე მშობელი ჰყავთ 15% მშობლებისა განქორწინებულია, ხოლო 23% შემთხვევაში ორივე ან ერთ-ერთი მშობელი საზღვარგარეთ არის;
- ორივე მშობელთან ერთად ცხოვრობს არასრულწლოვანთა 58% (437 არასრულწლოვანიდან 255), 42%-ს განრიდებული არასრულწლოვნებისა კი ე.წ. არასრულ ოჯახებში უწევთ ცხოვრება;
- არასრულწლოვანთა ოჯახის წევრებს 97% (423) შემთხვევაში უარყოფითი დამოკიდებულება აქვთ არასრულწლოვნის მიერ ჩადენილი ქმედების მიმართ;
- ოჯახის წევრთა წარსული დანაშაულებრივი საქმიანობის შესწავლისას გაირკვა, რომ 32 (7%) არასრულწლოვანს ნასამართლვეი ჰყავდა მამა, 16 (4%) შემთხვევაში ნასამართლვეი იყო ოჯახის სხვა წევრი, ხოლო 2 (1%) შემთხვევაში - ოჯახის რამდენიმე წევრი.

გვ. | 32

კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა ეკონომიკური მდგომარეობა:

- ოჯახების ძირითად ნაწილს (2017 (50%)) აქვთ შესაძლებლობა უზრუნველყოფილნი იყვნენ ყველა ძირითადი საჭიროებებით, თუმცა მხოლოდ მცირედ ნაწილს (13 (3%)) აქვს შესაძლებლობა ყველა დამატებითი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების, რაც შესაძლებელია იყოს განმაპირობებელი არასრულწლოვნებში საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის მაღალი მაჩვენებლის;
- პირველადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება 437 არასრულწლოვნის ოჯახიდან 14-ს (3%) არ შეუძლია
- არასრულწლოვანთა ორივე მშობელი დასაქმებულია 44% (194) შემთხვევაში. დასაქმების ფორმა ძირითადად შემთხვევებში თვითდასაქმებაა - ემიგრაციაში, ტაქსის მძღოლად ან დასუფთავება კერძო პირებთან.
- სამთავრობო თუ არასამთავრობო ზრუნვის პროგრამაში ჩართულია 9 არასრულწლოვნის ოჯახი, რაც განრიდებულ არასრულწლოვანთა 2%-ია, იმ ოჯახთა პროცენტული მაჩვენებელი, რომელთა შემოსავალი პირველადი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად კი არ იყო საკმარისი 4%-ია.
- განრიდებულ არასრულწლოვანთა ოჯახების უმრავლესობა - 85%, საკუთრებაში არსებულ ფართში ცხოვრობს. არასრულწლოვანთა ოჯახი 3 შემთხვევაში გირავნობის ხელშეკრულების საფუძველზე, ხოლო 45 შემთხვევაში ქირავნობის ხელშეკრულების საფუძველზე სარგებლობაში არსებულ ფართში ცხოვრობს. მხოლოდ ერთი არასრულწლოვანი ცხოვრობდა ბავშვთა სახლში, 3 არასრულწლოვნის ოჯახი განთავსებული იყო თავშესაფარში, 12 არასრულწლოვნის ოჯახი კი სახელმწიფოს მიერ გამოყოფილ ფართშია განთავსებული.

არასრულწლოვანთა განათლება და სამუშაო გამოცდილება:

- არასრულწლოვანთა უმრავლესობა იღებს ფორმალურ განათლებას, 437 არასრულწლოვანიდან არ სწავლობს 64 (15%) არასრულწლოვანი; საჯარო სკოლაში იღებს განათლებას 335 (77%) არასრულწლოვანი, კერძო სკოლაში - 19 (4%); უმაღლესი განათლების მიღება დაიწყო 14-მა (3%); ხოლო პროფესიულ სასწავლებელში სწავლობს 5 (1%) არასრულწლოვანი.
- არასრულწლოვანთა მხოლოდ 3%-ს ჰქონდა წერა-კითხვასთან დაკავშირებული პრობლემა;
- კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა აკადემიური მოსწრება 73% შემთხვევაში, ხოლო ყოფაქცევა 75% შემთხვევაში დამაკმაყოფილებელია. კარგი აკადემიური მოსწრებით გამოირჩევა არასრულწლოვანთა 8%, ხოლო კარგი ყოფაქცევით - 11%. არადაკმაყოფილებელია 7% არასრულწლოვანთა აკადემიური მოსწრება, ხოლო 4% არასრულწლოვანთა ყოფაქცევა;
- არასრულწლოვანთა უმრავლესობა (295 (68%)) არ არის დაკავებული დამატებითი აქტივობებით, შესაბამისად აქვთ დიდი თავისუფალი დრო;
- 437 არასრულწლოვანიდან მზაობას სწავლის გაგრძელებაზე გამოხატავს 348 (80%) არასრულწლოვანი;
- 497 არასრულწლოვანიდან დასაქმებულია 196 (45%), საიდანაც 153 სამუშაოს სწავლასაც უთავსებს.

არასრულწლოვანთა ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობა, მავნე ჩვევებზე დამოკიდებულება:

- არასრულწლოვანთა მხოლოდ მცირე ნაწილს აღენიშნება ფიზიკური (69 (16%)) და ფსიქიკური (13 (3%)) ჯანმრთელობის პრობლემები;
- განრიდებულ არასრულწლოვანთა 8%-ს ახასიათებს სხვადასხვა სახის ქცევითი თავისებურებები - პასიურობა, კონფლიქტური და მაპროვოცირებელი ხასიათი, ჰიპერაქტიურობა;
- რამდენიმე არასრულწლოვანთან მიმართებით გამოიკვეთა დესტრუქციული ხასიათის ქცევები. 5 (1%) არასრულწლოვანს ჰქონდა თვითდაზიანებებისკენ მიდრეკილება, 2 (1%) არასრულწლოვანს თვითმკვლელობის მცდელობა, ასევე 2 (1%) არასრულწლოვანს - ერთდროულად თვითდაზიანებისა და თვითმკვლელობის მცდელობა;
- განრიდებულ არასრულწლოვანთა 18%-ს აღენიშნებოდა თვითკონტროლის უნართან დაკავშირებული პრობლემები;
- მავნე ქცევებზე დამოკიდებულებამ კი არასრულწლოვანთა მცირე ნაწილში იჩინა თავი. მხოლოდ 5% შემთხვევაში (20 არასრულწლოვანი) გამოკვეთა ნარკოტიკულ საშუალებებზე დამოკიდებულება, ასევე 5% შემთხვევაში (20 არასრულწლოვანი) სახეზე გვქონდა ალკოჰოლურ სასმელებზე დამოკიდებულება, კომპიუტერულ თამაშებზე დამოკიდებულება გამოიკვეთა 3% შემთხვევაში (14 არასრულწლოვანი) და აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულება - მხოლოდ 1% შემთხვევაში (3 არასრულწლოვანი).

ძალადობრივი ქცევის გამოცდილება:

- 437 არასრულწლოვანიდან 20% (86 არასრულწლოვანი) იყო ძალადობის მსხვერპლი, ხოლო 13-ის მიმართ (3%) არსებობს ძალადობის განხორციელების შესახებ ეჭვი;

- არასრულწლოვანთა მიმართ ძირითადად ფიზიკური ან/და ფსიქოლოგიური სახის ძალადობაა განხორციელებული.
- 437 არასრულწლოვანიდან წარსულში ძალადობრივი ქცევის გამოცდილება ჰქონდა 104 (24%) არასრულწლოვანს, ხოლო 9-ის (2%) მიმართ არსებობს ეჭვი;
- ყველაზე მეტ შემთხვევაში არასრულწლოვნებს განხორციელებული ჰქონდათ ფიზიკური ძალადობა.

დანაშაულის გაცნობიერება:

- მართალია მცირე ნაწილმა, მაგრამ ცალკეულ შემთხვევებში არასრულწლოვნებმა სოციალურ მუშაკთან განაცხადეს რომ ისინი არ აღიარებენ (1%) ან ნაწილობრივ აღიარებენ (28%) მათ მიერ ჩადენილ დანაშაულს, მაშინ როდესაც სამართალდამცავებთან დანაშაულის სრული აღიარება გვაქვს სახეზე. აღნიშნული სისხლისსამართლებრივი მიზნებისთვის აღიარების მიღმა, არასრულწლოვანთა მიერ საკუთარი ქმედების გაცნობიერების პრობლემაზე მიუთითებს.

ასეთია ის მნიშვნელოვანი საკითხები, რომლებიც კვლევის დროს გამოვლინდა და განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს.

რეკომენდაცია:

განრიდებულთა კატეგორიაში ექცევა იმ ბავშვების კატეგორია, რომელთაც მართალია გამოავლინეს დანაშაულებრივი ქმედებისადმი მიდრეკილება, მაგრამ მათი ფორმირება და მათთან მუშაობა გაცილებით მარტივია, ვინაიდან ისინი არ არიან წარსულში ნასამართლევეები, არ იყვნენ წარსულში ჩართულები განრიდება-მედიაციის პროგრამაში, მათ მიერ ჩადენილია ნაკლებად მძიმე და მძიმე კატეგორიის დანაშაულები. კრიმინოლოგიური ანალიზის სრულყოფილად განხორციელებისთვის მნიშვნელოვანია მოხდეს იმ ბავშვთა მონაცემების დამუშავებაც, რომლებიც მიეცნენ სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში.

ამასთან, მიზანშეწონილია კვლევას დაემატოს კიდევ ერთი კომპონენტი - კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა წარსული დანაშაულებრივი გამოცდილება, რომლის დროსაც უნდა გაანალიზდეს არამართო პასუხისმგებლობის ასაკს მიღწევის შემდეგ ჩადენილი ქმედებები, არამედ 14 წლამდე დანაშაულის ჩადენის შემთხვევებიც.

საქართველოს გენერალური პროკურატურა,

*საპროკურორო საქმიანობაზე
ზედამხედველობისა და სტრატეგიული
განვითარების დეპარტამენტი,*

ანალიტიკური სამმართველო